მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N6

ქ.წალენჯიხა 26 თებერვალი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია,დავით ბელქანია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ივერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკ უბილავა, მალხაზ ფიფია,დავით ფიფია, ლევან შელია. ავთანდილ გაბელია, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ.გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N5).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 27 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
   გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
   გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
   გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

7.სხვადასხვა

მოისმინეს:2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირიმა – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N10) .

მოისმინეს: 3 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირიმა – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N11) .

მოისმინეს: 4 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირიმა – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N6) .

მოისმინეს: 5 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირიმა – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N7) .

მოისმინეს: 6 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირიმა – გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა მერაბ შონიამ

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N8) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 26 თებერვალი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N5

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 26 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

7.სხვადასხვა

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2016 წლის 26 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობისკოდექსი"24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.გ" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
დამტკიცდეს თანდართული წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი 2.
ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №8 დადგენილება.

მუხლი 3.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

დანართი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მეტრი მიწის ნორმატიული ფასი / შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი"/ დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_n = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$ სადაც:

ა) Cn – არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} – არის წალენჯიხის მაკრო მდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,37–ს;

გ) I_{TL}–არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1–ს /რადგანწალენჯიხაში ზონირება არ ხორციელდება/;

დ) C–არის არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K– არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 100–ს.

მუხლი 2.

პირველი მუხლის მიხედვით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მეტრის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ა) ქ. წალენჯიხის და ქ. ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

I_{MG}	I_{TL}	C	K	Cn /ლარი/
0.37	1	0.24	100	8.88

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (გარდა ქ. წალენჯიხისა და ქ. ჯვარის ადმინისტრაციული ერთეულებისა) – ამ დადგენილების მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 50% ოდენობით / 4.44 ლარი/;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში (გარდა ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარისა) გამავალი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ. რადიუსში (ორივე მხარეს) მდებარე არეალში – ამ დადგენილების მე–2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 55% ოდენობით / 4.80 ლარი/;

დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში — ამ დადგენილების მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 25% ოდენობით / 2.22 ლარი/;

ე) სოფ. ჯგალის სქურის უბანში — ამ დადგენილების მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 80%–ის ოდენობით / 7.10 ლარი/.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2016 წლის 26 თებერვალი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფაურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" პუნქტის „ეგ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 34, 35,36 და 37-ე მუხლების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი1.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და მოძრავი ნივთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

მუხლი 2.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ წესის 1-ლი მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) მიერ დადგენილი საწყისი საპრიატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

მუხლი 3.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

მუხლი 4.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილების/აქციების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განისაზღვროს არანაკლებ

დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

მუხლი 5.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილების/აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის უფლებით გადაცემის საფასური განისაზღვროს არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე წილების/აქციების საწყისი საპრიატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

მუხლი 6.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფაურის განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №9 დადგენილება.

მუხლი 7.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 26 თებერვალი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N6

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გაგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმა წარმოდგენილი დანართი N1 და N2-ს შესაბამისად.

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი. ქ. ზუგდიდი, გ. ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

NN	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვმ.	შენობა-ნაგებობის ფართობი კვმ	მიწის (უძრავი ქომების ს/კ.)
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ჯვარი, (ჯვარზენი)	100,00		47.14.35.183
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ჯვარი, გაფრინდაშვილის ქუჩა	3568,00		47.14.39.185

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

დანართი N2

N N	საპრივატიზებო ობიექტების დასახელება	მდებარეობა	საყწისი საპრივატიზებო საფასური ლარი	ელექტრონული/საჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა	ელექტრონული/საჯარო/ აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	100,00 კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. ჯვარი, (ჯვარზენი)	900,00	უპირობო	2016 წელის მარტი-აპრილი
2	3568,00 კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ჯვარი, გაფრინდაშვილის ქუჩა	32000,00	უპირობო	2016 წელის მარტი-აპრილი

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 26 თებერვალი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N7

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მესამე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს შეიტანოს ცვლილება ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრთან" გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მესამე მუხლში და ამოღებულ იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N20 განკარგულებისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 აპრილის N2-1/103 ბრძანებით ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ქ. წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე ფეხბურთის ცენტრალური სტადიონის შენობა-ნაგებობები ღირებულებით 204,0 ათასი ლარი. (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471144055) და სპორტის სასტუმრო შენობის პირველ სართულზე არსებული 250 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი ღირებულებით 13.4 ათასი ლარი. (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471144004)

2.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გადასცეს ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „სქურს" (საიდენტიფიკაციო ნომერი 442731340, იურიდიული მისამართი ქ. წალენჯიხა სალიას ქ N5) :

ა) ქ. წალენჯიხა წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე ფეხბურთის ცენტრალური სტადიონის შენობა-ნაგებობები (გარდა საჭიდაო დარბაზისა) ღირებულებით 204,0 ათასი ლარი (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471144055);

ბ) სპორტის სასტუმროს შენობის პირველ სართულზე არსებული 250 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, ღირებულებით 13.4 ათასი ლარი. (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471144004).

3.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“:

ა) ქ.წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზი ღირებულებით 60,0 ათასი ლარი.(მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471144055);

ბ) ქ. წალენჯიხა გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ჭადრაკის სახლი ღრებულებით 29,9 ათასი ლარი.(მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471101149);

გ) ქ. ჯვარი, ჭიინაძის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზი, ღირებულებით 41,2 ათასი ლარი ლარი.(მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 471435157).

4.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი. ქ. ზუგდიდი, გ. ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 26 თებერვალი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N8

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულებაში შეტანილიქნეს ცვლილება, კერძოდ განკარგულებით დამტკიცებული დანართის „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (უმწეოთა უფასო სასადილოების) პროგრამის" „პროგრამის აღწერილობა" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროგრამის აღწერილობა:
პროგრამის განხორციელებას წესდების შესაბამისად სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი) უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი „ წალენჯიხის სათნოების სახლი".

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი. ქ. ზუგდიდი, გ. ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (უმწეოთა უფასო სასადილოების) პროგრამა

ბოლო რამდენიმე წელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული, მოსახლეობისათვის უფასო სასადილოების ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული მოქალაქეები ყოველდღიურად ღებულობენ უფასო ერთჯერად კვებას. აღნიშნული პროგრამა საჭიროებს 2016 წელს გაგრძელებას.

პროგრამის მიზანი:

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი,სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ყოველდღიური მხარდაჭერა.

პროგრამის აღწერილობა:

პროგრამის განხორციელებას წესდების შესაბამისად სამოქმედო ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, ქ. ჯვარი) უზრუნველყოფს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი „ წალენჯიხის სათნოების სახლი".

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთაღრიცხვაა 150 000 ლარი.